განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:
კანონპროექტი წარმოადგენს საკანონმდებლო პაკეტის შემადგენელ ნაწილს. იგი გამომდინარეობს თავდაცვის კოდექსის პროექტიდან და მიზნად ისახავს აღნიშნული კოდექსის პროექტით გათვალისწინებულ ახალ სამართლებრივ რეგულაციებთან „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:
„არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თავდაცვის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანისთვის საჭიროა, კანონში შეტანილი იქნას შესაბამისი ცვლილება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:
ცვლილების შემდგომ, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სათანადო ნორმები შესაბამისობაში მოვა თავდაცვის კოდექსთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:
თავდაცვის კოდექსის პროექტის მიხედვით, სამხედრო სამსახურის სახეებია: რეგულარული სამხედრო სამსახური და სარეზერვო სამხედრო სამსახური. თავის მხრივ რეგულარული სამხედრო სამსახური იყოფა წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურად და პროფესიულ სამხედრო სამსახურად. ამდენად, კანონის შესაბამის ნორმებში ზუსტდება ტერმინები და „სამხედრო სავალდებულო/სავალდებულო სამხედრო სამსახურის“ ნაცვლად მიეთითება „წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური“.
„არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური თავისი ხასიათით უნდა შეესაბამებოდეს სამხედრო სამსახურში არსებულ სირთულეებს. მისი ხანგრძლივობა უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ გაწვევით სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობას. დღეს არსებული კანონმდებლობის მიხედვით, სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადაა 12 თვე, ხოლო არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის - 18 თვე. თავდაცვის კოდექსის პროექტის მიხედვით, 2025 წლის 1 იანვრიდან წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის ვადა განისაზღვრება 6, 8 ან 11 თვით, შესაბამისად, მიზანშეწონილია გადაიხედოს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ვადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის მიხედვით, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ვადა განისაზღვრა 12 თვე.
„არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებულია „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც თავდაცვის სფეროსა და სამხედრო სამსახურის

მარეგულირებელ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სხვა აქტებთან ერთად, ერთიანდება თავდაცვის კოდექსში და შესაბამისად ცხადდება ძალადაკარგულად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ,,თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ნაცვლად მიეთითება თავდაცვის კოდექსი.
თავდაცვის კოდექსის პროექტის მიხედვით, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლებით აღარ ისარგებლებს სასულიერო პირი, ვინაიდან გადავადების აღნიშნული საფუძველი არ არის თავსებადი იმ ხედვებთან, რომელსაც ავითარებს სახელმწიფო თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით. კერძოდ, ეფექტიანი თავდაცვის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია „ტოტალური თავდაცვის“ პრინციპი და მიდგომა, რაც გულისხმობს ეროვნული რესურსების მთელი პოტენციალის მზადყოფნასა და მობილიზების უნარს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავდაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის სარეზერვო სამხედრო სისტემის სრულფასოვნად ამოქმედებას.
ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და ტოტალური თავდაცვის პრინციპის გათვალისწინებით, ინერგება ახალი სარეზერვო სისტემა. ამ სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს რეზერვის დაკომპლექტება, როგორც სამხედრო მომზადების მქონე პირებისაგან, ასევე პირებისაგან, რომლებსაც ექნებათ სპეციალური არასამხედრო უნარჩვევები, რომლებიც გააუმჯობესებს რეზერვის მართვის პროცესებს განსაკუთრებით კრიზისულ პირობებში. ამდენად, ცვლილება შედის კანონის მე-4 მუხლში და სასულიერო პირი დაექვემდებარება არასამხედრო ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევას.
თავდაცვის კოდექსის პროექტის მიხედვით, 2024 წლის 1 იანვრიდან, მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში და სარეზერვო სამხედრო სამსახურში გაწვევა უნდა განახორციელოს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება შედის როგორც „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სათანადო ნორმებში ასევე, კანონს ემატება გარდამავალი დებულებები.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):
ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:
კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 - მე-5 პუნქტებისა, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მისი ამოქმედება დაკავშირებულია თავდაცვის კოდექსის შესაბამისი ნორმების ამოქმედების ვადასთან. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოქალაქეთა წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის ფუნქციის განხორციელების 3 ვადიდან გამომდინარე, პროექტის პირველი მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან. თავდაცვის კოდექსის პროექტის მიხედვით, წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის ვადა 2025 წლის 1 იანვრიდან 12 თვის ნაცვლად განისაზღვრება 6, 8 ან 11 თვით. შესაბამისად, კანონის პროექტის ნორმა, რომელიც შეეხება არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ვადას,

ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვარიდან. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):
კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გაწევას. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტს, პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება საქართველოს შსს-ის სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. ამასთან, კანონპროექტთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროა ეკოლოგიური ან სხვა სპეციალური არასამხედრო-შრომითი გაერთიანებების, სამოქალაქო დანიშნულების სამშენებლო, სარემონტო ორგანიზაციებისა და ობიექტების ბიუჯეტი, იმ ორგანიზაციებისა და ობიექტების ბიუჯეტი, რომლებიც აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას, ასევე კომუნალური მომსახურების დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურში გაწვეულ პირთა ანაზღაურება შსს-ის სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ განსაზღვრულია 100 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს სამსახურის მიერ გასაწევ ხარჯს.
აქვე აღსანიშნავია, რომ 2025 წლის პირველი იანვრიდან მოხდება სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბიუჯეტიდან გასაცემი 6 თვის შრომის ანაზღაურების დაზოგვა.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:
კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს, აგრეთვე სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღებ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:
კანონპროექტის მიღებას გავლენა ექნება 27 წლამდე ასაკის სასულიერო პირებზე, რომლებიც ვეღარ ისარგებლებენ წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლებით და მოუწევთ გაიარონ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური. აღნიშნული სამსახურის გავლისას პირი იღებს ანაზღაურებას, რაც შესაბამისი უწყებისთვის გასაწევ ხარჯს წარმოადგენს.
ამასთან, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ვადის 6 თვით შემცირება გავლენას მოახდენს, როგორც გაწვეულ პირთა საშემოსავლო ნაწილზე, ასევე დამსაქმებელი ორგანიზაციების ხარჯვით ნაწილზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელების (ფულადი შენატანის) შემოღებას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება საქართველოს მიერ დადებულ ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:
ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:
ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს მთავრობა.